



ტესტი გეოგრაფიაში

ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

ყურადღებით გაეცანით ტესტის თითოეული დავალების ინსტრუქციას, კარგად გაიაზრეთ დავალების მოთხოვნა და შემდეგ დაიწყეთ მუშაობა.

ტესტზე მუშაობისას გამოიყენეთ თანდართული რუკები.

გაითვალისწინეთ, თუ სწორ პასუხთან ერთად არასწორ პასუხსაც მიუთითებთ, ქულას ვერ მოიპოვებთ.

ტესტის მაქსიმალური ქულაა 55.

ტესტზე სამუშაოდ გეძლევათ 4 საათი.

გისურვებთ წარმატებას!



➤ კითხვა არჩევითი პასუხებით - დავალება № 1-16

ინსტრუქცია

თითოეულ კითხვას ახლავს ოთხი სავარაუდო პასუხი. მათგან მხოლოდ ერთია სწორი. არჩეული პასუხი გადაიტანეთ პასუხების ფურცელში ამგვარად: პასუხების შესაბამის უჯრედში გააკეთეთ აღნიშვნა - X. არც ერთი სხვა აღნიშვნა, ჰორიზონტალური თუ ვერტიკალური ხაზები, შემოხაზვა და ა. შ. ელექტრონული პროგრამის მიერ არ აღიქმება. თუ გსურთ პასუხების ფურცელზე მონიშნული პასუხის გადასწორება, მთლიანად გააფერადეთ უჯრა, რომელშიც დასვით X ნიშანი და შემდეგ მონიშნეთ პასუხის ახალი ვარიანტი (დასვით X ნიშანი ახალ უჯრაში). შეუძლებელია, ხელმეორედ აირჩიოთ ის პასუხი, რომელიც გადაასწორეთ. თითოეული დავალება ფასდება 1 ქულით.

(1) 1. რომელ პარალელზე იქნება 1°-იანი რკალის სიგრძე უფრო მეტი?

ა) ეკვატორზე;

ბ) ტროპიკზე;

გ) პოლარულ წრეზე;

დ) ყველგან ერთი სიგრძის იქნება.

(1) 2. რა ეწოდება რუკაზე ოკეანეებისა და ზღვების ერთნაირი სიღრმეების შემაერთებულ იზოხაზს?

ა) იზოჰიფსი;

ბ) იზობარი;

გ) იზობათი;

დ) იზოთერმა.

(1) 3. რა ეწოდება ხმელეთისა და ოკეანის ფსკერის იმ არეალს, სადაც წარსული გეოლოგიური პერიოდის განმავლობაში სახეობები ან მათი დაჯგუფებები გადაურჩნენ მათი განვითარებისთვის ხელისშემშლელ ზეგავლენას და დღეისათვის მხოლოდ ამ კონკრეტულ მონაკვეთზე არიან შემორჩენილნი?

ა) რელიქტი;

ბ) ენდემი;


გ) რეფუგიუმი;

დ) ტერარიუმი.

(1) 4. რომელი მტკიცებულებაა მართებული კარსტულ რელიეფთან დაკავშირებით?

- ა) ის მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოში გვხვდება;
- ბ) ის ძირითადად დასავლეთ საქართველოშია გავრცელებული;
- გ) ის დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში თანაბრად არის გავრცელებული;
- დ) ჯავახეთის ზეგანი ტიპური კარსტული რელიეფით ხასიათდება.

(1) 5. რა სახელით არის ცნობილი ილუსტრაციაზე ნაჩვენები რღვევა?



- ა) დიდი რიფტული ხეობის;
- ბ) სან-ანდრეასის;
- გ) ანდების სუბდუქციის;
- დ) ამერიკის აღმოსავლეთის.

(1) 6. აშშ-ის რომელი შტატის დედაქალაქია ყველაზე დიდი მანძილით დაშორებული აშშ-ის დედაქალაქიდან?

ა) ალასკის;

ბ) ოჰაიოს;

გ) ვაშინგტონის;

დ) ჰავაის.

(1) 7. N ქვეყნის მოსახლეობის რაოდენობა წლის დასაწყისში იყო 5 000 000 მცხოვრები. ერთი წლის განმავლობაში დაბადებულთა რაოდენობამ 45 000, ხოლო გარდაცვლილთა რაოდენობამ 50 000 შეადგინა. რამდენია N ქვეყანაში ბუნებრივი მატების კოეფიციენტი?

ა) -1‰

ბ) - 0,1‰

გ) 0,1‰

დ) 1 ‰

(1) 8. ჩამოთვლილთაგან რომელია ეკონომიკური მაჩვენებელი?

ა) მშპ ერთ სულ მოსახლეზე;

ბ) ბუნებრივი მატების კოეფიციენტი;

გ) მოსახლეობის საშუალო სიმჭიდროვე;

დ) მიგრაციული სალდო.

(1) 9. რომელი სასოფლო-სამეურნეო კულტურის წარმოების სტატისტიკურ მონაცემებს ასახავს ცხრილი?

წარმოება (ათასი ტონა)

	2016	2017	2018	2019	2020
საქართველო	3.2	2.2	3.0	2.6	1.9
კახეთი	2.3	1.3	2.5	2.2	1.1
დანარჩენი რეგიონები	0.9	0.9	0.5	0.4	0.8

ა) ყურძნის;

ბ) კარტოფილის;


გ) მზესუმზირის;

დ) თხილის.

(1) 10. რომელი მტკიცებულებაა მცდარი ავსტრალიის შესახებ?

- ა) პირველი ევროპელები, რომლებმაც მიაღწიეს ავსტრალიის სანაპიროს, იყვნენ ჯეიმს კუკის ექსპედიციის წევრები;
- ბ) დიდი ბარიერული რიფი ავსტრალიის აღმოსავლეთ სანაპიროს თითქმის 2500 კილომეტრის სიგრძეზე მიუყვება;
- გ) ავსტრალიის კონტინენტზე არ გვხვდება თანამედროვე გამყინვარება;
- დ) ავსტრალიის ჩრდილოეთ სანაპიროს მიმდებარე წყლები უფრო თბილია, ვიდრე სამხრეთისა.

(1) 11. რომელი სახელმწიფოს ეკონომიკის სტრუქტურაა მოცემული დიაგრამაზე?



- ა) ვენესუელის;
- ბ) ლუქსემბურგის;
- გ) კენიის;
- დ) ჩინეთის.

(1) 12. რომელი სახელმწიფოს მოქმედი კონსტიტუციის მიხედვით ხდება პრეზიდენტის არჩევა საყოველთაო არჩევნების გზით?


ა) საქართველოს;

ბ) გერმანიის;

გ) საფრანგეთის;

დ) იაპონიის.

(1) 13. რომელი საერთაშორისო ორგანიზაციის წევრი და დამკვირვებელი სახელმწიფოებია აღნიშნული რუკაზე?



- ა) ნატოს;
- ბ) ბისეკის;
- გ) ოპეკის;
- დ) ეუთოს.

(1) 14. გლობალიზაციის (KOF) ინდექსის მონაცემების მიხედვით, რომელი კონტინენტის სახელმწიფოები ჭარბობს მსოფლიოს სიის პირველ ათეულში ბოლო ათწლეულის განმავლობაში?

ა) ევროპის;

ბ) აზიის;

გ) ჩრდილოეთი ამერიკის;

დ) სამხრეთი ამერიკის.

(1)15. რომელ ისტორიულ-გეოგრაფიულ პროვინციაში მდებარეობს საქართველოს წითელ წიგნში შეტანილი არაორგანული ბუნების ძეგლი - ქუაქანცალია (მოქანავე ლოდი)?



- ა) რაჭაში;
- ბ) ხევსურეთში;
- გ) ჯავახეთში;
- დ) სამეგრელოში.

(1) 16. რომელი გეოგრაფიული ობიექტია ნაჩვენები ფოტოზე?



- ა) კოლხეთის დაბლობი;
- ბ) იმერეთის მაღლობი;
- გ) ჯავახეთის ზეგანი;
- დ) შიდა ქართლის ვაკე.

➤ შესაბამისობის დადგენა - დავალება № 17-20


ინსტრუქცია

დაადგინეთ შესაბამისობა დავალებაში მოცემულ ორ ჩამონათვალს შორის. პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელში მოცემულ ცხრილში. თითოეულ ასოს ქვემოთ მიუწერეთ შესაბამისი ციფრი. დავალების მაქსიმალური ქულაა 2.

(2) 17. დაადგინეთ შესაბამისობა (გაითვალისწინეთ, რომ პასუხის გამეორება არ არის შესაძლებელი):

	სახელმწიფო		ინფორმაცია სახელმწიფოს შესახებ
ა	გერმანია	1	სახელმწიფოს მეთაურია გაერთიანებული სამეფოს მონარქი
ბ	აშშ	2	აქვს სამი დედაქალაქი
გ	ბრაზილია	3	არსებულ საზღვრებში მოქცეულია 1990 წლიდან
დ	იაპონია	4	ქვეყნის ცენტრალური ნაწილი პრერიებს უკავია
ე	სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა	5	მiejდინება აუზის ფართობით მსოფლიოს ყველაზე დიდი მდინარე
ვ	ავსტრალია	6	სახელმწიფოს მეთაურია იმპერატორი
		7	სახელმწიფო აბსოლუტური მონარქიაა

(2) 18. დაადგინეთ შესაბამისობა (გაითვალისწინეთ, რომ პასუხის გამეორება არ არის შესაძლებელი):








რუკის სახელწოდება

1	2	3	4	5	6
მოსახლეობის სიმჭიდროვის	გეოლოგიური	ლანდშაფტების	სასარგებლო წიაღისეულის	მრეწველობის	ოროგრაფიული

(2) 19. დაადგინეთ შესაბამისობა (გაითვალისწინეთ, რომ პასუხის გამეორება არ არის შესაძლებელი):







ეროვნული სამზარეულოს კერძი

ა)		ბ)		გ)	
ესკარგო		პიცა		სუში	
დ)			ე)		
ბიგ-მაკი			პუდინგი		

სახელმწიფო

1	2	3	4	5	6	7
აშშ	მონღოლეთი	საფრანგეთი	იტალია	მექსიკა	ინგლისი	იაპონია

(2) 20. დაადგინეთ შესაბამისობა (გაითვალისწინეთ, რომ პასუხის გამეორება არ არის შესაძლებელი):


ფოტო						
						
ა)	ბ)	გ)				
						
დ)	ე)	ვ)				
სახელწოდება						
1	2	3	4	5	6	7
დელტა	ფიორდი	ესტუარი	ტერასა	მეანდრი	ტრავერტინი	ტროგი

➤ ინფორმაციის ანალიზი - დავალება № 21-24

ინსტრუქცია

ყურადღებით გაეცანით მოცემულ ინფორმაციას (ტექსტი, ფოტო, ცხრილი, გრაფიკი და სხვ.) და უპასუხეთ კითხვებს. პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელში გამოყოფილ შესაბამის ადგილას. ქულათა რაოდენობა განისაზღვრება კონკრეტული დავალების მიხედვით.

(4) 21. გაანალიზეთ ჩრდილოეთ ნახევარსფეროს ზომიერი კლიმატური სარტყლის N მდინარის კალაპოტში წყლის დონის რყევის დიაგრამა და უპასუხეთ კითხვებს.



(1) 21.1. რომელ სეზონზეა N მდინარეზე მკვეთრად გამოხატული წყალმცირობის პერიოდი?

(1) 21.2. გამოთვალეთ წლის განმავლობაში N მდინარის კალაპოტში წყლის დონის რყევის ამპლიტუდა; აუცილებლად აჩვენეთ გამოთვლის პროცესი.

(2) 21.3. დაასახელეთ ორი ძირითადი ფაქტორი, რომლებიც განაპირობებს N მდინარის წყლის დონის მატებას წლის განმავლობაში.



(4) 22. გაანალიზეთ ინფორმაცია და უპასუხეთ კითხვებს:

მოსახლეობის ზრდის ტემპს მრავალი ფაქტორი განსაზღვრავს (დემოგრაფიული, სოციალურ-ეკონომიკური, კულტურული, პოლიტიკური და ა.შ.). ისტორიულად სხვადასხვა კონტინენტის მოსახლეობა განსხვავებული ზრდის ტემპით ხასიათდებოდა.



გადასვლა დავალების: [მეორე გვერდზე](#), [მესამე გვერდზე](#), [მეოთხე გვერდზე](#)





რუკა 2.



რუკა 3.

გადასვლა დავალების: პირველ გვერდზე,
მესამე გვერდზე, მეოთხე გვერდზე

(1) 22.1. რომელი წრიული დიაგრამა შეესაბამება რუკა 1-ზე მოცემულ ინფორმაციას?



გადასვლა დავალების: [პირველ გვერდზე](#), [მეორე გვერდზე](#), [მეოთხე გვერდზე](#)

(2) 22.2. დაასახელეთ მაჩვენებელი, რომელიც გავლენას არ ახდენს მსოფლიოს მოსახლეობის საერთო რაოდენობაზე, მაგრამ მოქმედებს ცალკეული კონტინენტის მოსახლეობის რაოდენობის ცვლილებაზე. დღეისათვის რომელი კონტინენტებისათვის არის ეს მაჩვენებელი უარყოფითი?

(1) 22.3. რუკა 2-ისა და რუკა 3-ის მიხედვით გამოთვალეთ რამდენი იქნება 2100 წელს ავსტრალიის ბუნებრივი მატების ზოგადი კოეფიციენტი? აუცილებლად აჩვენეთ გამოთვლის პროცესი.

გადასვლა დავალების: [პირველ გვერდზე](#), [მეორე გვერდზე](#), [მესამე გვერდზე](#)

(7) 23. გაანალიზეთ მოცემული ინფორმაცია და უპასუხეთ კითხვებს:

ჭიათურაში მანგანუმის საბადოს არსებობაზე პირველი ცნობა ლიტერატურაში 1854 წელს გაჩნდა. მადნის სამრეწველო მოპოვება კი 1879 წელს დაიწყო.



1879 წლის შემდეგ, როდესაც ჭიათურიდან მანგანუმის მადნის პირველი პარტია (850 ტონა) გაიტანეს უცხოეთში, საქართველო იქცა მანგანუმის ერთ-ერთ მთავარ ექსპორტიორად ევროპაში. 1879-1900 წწ-ში მანგანუმის მოპოვება მკვეთრად გაიზარდა, საბჭოთა პერიოდში მოპოვება სტაბილურად მზარდი იყო, ხოლო 1990 წლიდან მკვეთრად შემცირდა, განსაკუთრებით 1996-1998 წლებში.


ჭიათურის სამთამადნო რეგიონში საბადოს ექსპლუატაცია ხდება როგორც ზედაპირზე, ასევე მიწისქვეშ. მადნის მნიშვნელოვანი რაოდენობა მოიპოვება ხელმეორედ, ადრე დამუშავებულ უბნებზე. მანგანუმის მოპოვება ზედაპირულად 1200 ჰა-ზე მიმდინარეობს. მადნის გადამამუშავებელი ნაწილი მიწის ზედაპირზე ხდება ნაყარის სახით. ჭიათურის სამთო-

გამამდიდრებელი კომბინატის დღეისათვის მოქმედი ფაბრიკებიდან ყველაზე ახალი - 1962 წელს, ხოლო ყველაზე ძველი 1935 წელს გაიხსნა. კომბინატის არც ერთ გამამდიდრებელ ფაბრიკას არ გააჩნია თანამედროვე სტანდარტების მქონე გამწმენდი ნაგებობა. 2008 წელს, 9 თვის განმავლობაში იქ მდებარე წყლის მთავარ არტერიაში დაახლოებით 500 ათასი ტონა შლამი ჩაუშვეს.



[გადასვლა კითხვებზე](#)

- (1) **23.1.** დაასახელეთ ძირითადი მიზეზი, რის გამოც XX საუკუნის 90-იან წლებში მანგანუმის მოპოვება მკვეთრად შემცირდა?
- (1) **23.2.** დაასახელეთ მუნიციპალიტეტის მთავარი მდინარე, რომლის წყლის დაბინძურებასაც ჭიათურაში მანგანუმის მოპოვება იწვევს?
- (1) **23.3.** დაასახელეთ ანთროპოგენური რელიეფის ფორმა, რომელიც ყალიბდება საბადოს ექსპლუატაციის შედეგად.
- (2) **23.4.** XIX საუკუნის მეორე ნახევარში ტრანსპორტის რომელი სახეობის განვითარებას შეუწყო ხელი საქართველოში ამ საბადოს ექსპლუატაციაში გამვებამ და რა იყო ამის მთავარი მიზეზი?
- (2) **23.5.** დაასახელეთ, როგორი მეთოდებით ხდება ჭიათურაში მანგანუმის მოპოვება?

(11) 24. გაანალიზეთ მოცემული ინფორმაცია და უპასუხეთ კითხვებს:



გადასვლა დავალების: [მეორე გვერდზე](#), [მესამე გვერდზე](#), [მეოთხე გვერდზე](#), [მეხუთე გვერდზე](#)



გადასვლა დავალების: პირველ გვერდზე, მესამე გვერდზე, მეოთხე გვერდზე, მეხუთე გვერდზე




ატაკამას უდაბნო



ატაკამას უდაბნოს „ყვავილობა“

გადასვლა დავალების: პირველ გვერდზე, მეორე გვერდზე, მესამე გვერდზე, მეხუთე გვერდზე

კლიმატური დიაგრამა



გადასვლა დავალების: [პირველ გვერდზე](#), [მეორე გვერდზე](#), [მესამე გვერდზე](#), [მეხუთე გვერდზე](#)

- (1) **24.1.** რამ მისცა (რომელმა გეოგრაფიულმა გარემოებამ) პრეისტორიულ პერიოდში უძველეს ადამიანთა ჯგუფებს ამერიკაში გადასვლისა და განსახლების შესაძლებლობა?
- (1) **24.2.** რა გავლენა მოახდინა ტორდესილიასის ხელშეკრულების მიხედვით დადგენილმა სადემარკაციო ხაზმა სამხრეთი ამერიკის პოლიტიკური რუკის ფორმირების პროცესზე?
- (1) **24.3.** ესპანეთისა და პორტუგალიის გარდა, კიდევ რომელ სამ ევროპულ სახელმწიფოს ჰქონდა კოლონიები ე.წ. „გვიანის რეგიონში“?
- (2) **24.4.** დაასახელეთ წყნარი ოკეანის სანაპიროზე მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მშრალი ატაკამას უდაბნოს ფორმირებისა და „უდაბნოს ყვავილობის“ განმსაზღვრელი ძირითადი გეოგრაფიული ფაქტორები.
- (3) **24.5.** დაასახელეთ, რომელი ჰაერის მასების შემოჭრას უკავშირდება ადგილობრივი ქარის - პამპეროს - წარმოშობა. განსაზღვრეთ, რომელ კლიმატურ სარტყლამდე შეიძლება მიაღწიოს მან და როგორი ამინდის ფორმირებას იწვევს მისი მოქმედება?
- (1) **24.6.** გამოთვალეთ, რას უტოლდება მოცემულ დიაგრამაზე ჰაერის ტემპერატურის საშუალო წლიური ამპლიტუდა. აუცილებლად აჩვენეთ გამოთვლის პროცესი.
- (1) **24.7.** სამხრეთ ნახევარსფეროს სუბტროპიკული კლიმატური სარტყლის რომელი კლიმატური ოლქის მონაცემებს შეესაბამება მოცემული დიაგრამა?
- (1) **24.8.** რუკებზე დატანილ რომელ ქალაქს შეესაბამება მოცემული კლიმატური დიაგრამა?

გადასვლა დავალების: [პირველ გვერდზე](#), [მეორე გვერდზე](#), [მესამე გვერდზე](#), [მეოთხე გვერდზე](#)

ინსტრუქცია

ყურადღებით გაეცანით მოცემულ ტოპოგრაფიულ რუკას და უპასუხეთ კითხვებს. პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელში გამოყოფილ შესაბამის ადგილას. ქულათა რაოდენობა განისაზღვრება კონკრეტული დავალების მიხედვით.

(5) 25. თანდართული ტოპოგრაფიული რუკის მიხედვით უპასუხეთ კითხვებს:

(1) 25.1. დაახლოებით რა აზიმუტით მდებარეობს C წერტილიდან მ. მელთა?

ა) 37°

ბ) 144°


გ) 263°

დ) 307°

(1) 25.2. რამდენი მეტრია სიმაღლეთა სხვაობა მ. გომსა და B წერტილს შორის? აუცილებლად აჩვენეთ გამოთვლის პროცესი.






(1) 25.3. ჩამოთვალეთ ყველა ის სასარგებლო წიაღისეული, რომლებიც მოცემულ ტერიტორიაზე მოიპოვება.

(2) 25.4. რომელი წერტილი (A, B თუ C) არ დაიტბორება მდ. ჭკუდის წყლის დონის 2,5 მ-ით მომატებისას? პასუხი დაასაბუთეთ.



რელიეფი

ძირითადი პორიზონტალები გაკლებულია ყოველ 2,5 მეტრში
 ა) ძირითადი პორიზონტალები
 ბ) ძირითადი გამსხვილებული პორიზონტალები
 გ) დამატებითი პორიზონტალები (ნახევრადპორიზონტალები)
 დ) პორიზონტალების სიმაღლის ნიშნულები მ-ში
 ე) კალთის დახრის მაჩვენებლები (ბერგშტრისები)



ა) ძირითადი სიმაღლის ნიშნულები ბ) სიმაღლის ნიშნულები

სიმაღლის ნიშნულები ორიენტირებით
 ფლატე (ბუქი) (3-ხრამის ხიდრმე მ-ში)
 ყორღანები (2-ყორღანის სიმაღლე მ-ში)

ორმოები (3-ორმოს ხიდრმე მ-ში)
 ხრამებისა და ღარტაფების სივანე ა) 3-ზე ნაკლები;
 ბ) 3-დან 10 მ-მდე (3/2-ხრამის მახასიათებლები, 3-სივანე ზედაპირთან, 2 ხიდრმე მ-ში);
 გ) 10-ზე დიდი გამოისახება რუკის მასშტაბში (2 ხრამის ხიდრმე)

მცენარეული საფარი და ბოუნტი

მცენარეული საფარისა და გრუნტის სახეურები და კონტურები

წიწკოვანი ტყე

ფართოფოთლოვანი ტყე

შერეული ტყე

ხემცენარეების მახასიათებლები მ-ში: 16-საშუალო სიმაღლე; 0,30 - მეტრის საშუალო სისქე, 5-ხეებს შორის საშუალო მანძილი

ბუნქარის ვიწრო ზოდები

ცალკეული ფოთლოვანი კორმოები

ორიენტირის მნიშვნელობის მქონე ცალკე მდგომი ხეები: ა) წიწკოვანი ბ) ფოთლოვანი

ცალკე მდგომი ხეები, რომელთაც არ გააჩნიათ ორიენტირის მნიშვნელობა

ახალგაზრდა წიწკოვანი (წერილნაზარდი) ტყე

ტყეში არსებული განეხილი გზების სივანე (4-განეხილი გზის სივანე მ-ში)

ა) მუხნური ტყე
 ბ) განეხილი ტყის ნაკვეთები

ბუნქარი ა) ცალკე მდგომი ბუნქები და ბუნქების დაჯგუფებები; ბ) ხშირი ბუნქარი (2-ბუნქარის საშუალო სიმაღლე მ-ში)

ა) მდგომი 1-მეტრზე ნაკლები სიმაღლის ბალახის ტიპის მცენარეულობით; ბ) ხეხილის ბაღები

ა) სახნავე მიწები
 ბ) ბოსტნები

ხის დობები, მესერი, დობეწნულები

საბზაო ქსელი

ორლიანდაგიანი რკინიგზა

ვიწროლიანდაგიანი რკინიგზა

ჯისურები, ყაზარმები, გზის ქვეშ არსებული მიწები

ნაღრმავებებში და მიწაყრილებზე გაყვანილი რკინიგზები (2-ნაღრმავების სიგრძე მ-ში; 4-მიწაყრილის სიმაღლე მ-ში)

გაუმჯობესებული გზატკეცილი (13-დაგებული საფარის სივანე, 17-მთელი გზის სივანე სანაიდერეებს შორის მ-ში. ა-საფარის სახეობა), კილომეტრაჟის ნიშნები. კილომეტრების წარწერები.

გზატკეცილი
 გაუმჯობესებული გრუნტის გზები (4-საველი ნაწილის სივანე მ-ში)

გრუნტის გზები

მინდერისა და ტყის გზები

გზების, მდინარეების, არხების გასწვრივ არსებული ნარგავები

ხიდების მახასიათებლები: 30-სიგრძე მ-ში, 5-საველი ნაწილის სივანე მ-ში, 5-ტვირთაძლევა ტ-ში

ხიდები, რომელთა სიგრძეა: 1) 3მ-ზე ნაკლები; 2) 3-დან 13 მ-მდე

3 მ-მდე სივანის მშრალი არხები

დამბები, ხელოვნური მიწაყრილები (1 - სიმაღლე მ-ში)

ჭები (169,1 - ჭის მიწისპირა ნიშნული, 3-5 - ჭის ხიდრმე წყლის დონემდე და ფსკერამდე მ-ში)


წყაროები

დასახლებული აუნძტაბი და მათი წარწერები

სასოფლო და სააგარაკო ტიპის დასახლებების კვარტლები ცეცხლგამძლე და ცეცხლსაშიში ნაგებობებით

კვარტლებს გარეთ საცხოვრებელი და სხვა ტიპის ნაგებობები ა) ცეცხლგამძლე ბ) ცეცხლსაშიში

სასოფლო და სააგარაკო ტიპის დასახლებებში სახლების რაოდენობა



20-დან 100-მდე

(45 - სახლების რაოდენობა)

20-ზე ნაკლები

ცალკეული ადგილობრივი ნაბნობები

მსუბუქი კონსტრუქციის ანძები

ეკლესიები

ბოძებზე დამაგრებული გადახურვები

ქარხნები

ღია ტიპის კარიერები: თის- მოპოვებელი მასალა, 10 - კარიერის სიღრმე მ-ში

მოქმედი მდაროები
 კავშირგაბმულობის საპაეო ხაზები (სატელეფონო, სატელეგრაფო, რადიო და სხვ.)



ხშირი მცენარეულობით დაფარული სასაფლაოები

ჰიპოგრაფია

შრობადი ნაკადები

სანაოსნო მდინარეები

ა) ტბორი ბ) 100 მ-ზე ნაკლები სიგრძის კაშხალი, ავტოტრანსპორტისთვის გაუვალი

მდინარეები და ნაკადულები: 1) 3 მ-მდე, 2) 5 მ-მდე, 3) 5 მ მეტი სივანის გამოისახება რუკის მასშტაბში

წყლის კიდის ნიშნულები


ისრები უწყვეტენ მდინარის დინების მიმართულებას (0,4-დინების სიქარე მ/წმ)

მდინარეების მახასიათებლები: 10-სივანე; 1,2 - ხიდრმე მ-ში; ქ - გრუნტის ტიპი

ფონები და მათი მახასიათებლები: 0,5 - ხიდრმე მ-ში, 10 - ფონის სიგრძე, 0,4 - დინების სიქარე მ/წმ

ხიდები ლითონის ერთოდიანი

ხიდები ხის ერთოდიანი



ტოპოგრაფიულ რუკებზე მიღებული შემოკლებები

ა	ასფალტი	აგ.	აგურის
ჯ	ჯისური	ქ	ქვიშა
რქ.	რუკის ქვა	ტბრ.	ტბორი
არყ.	არყის ხე	პრ.	პროექტორის ანბა
ფიჭ.	ფიჭვის ხე	წყ.	წყარო
ნაძ.	ნაძვის ხე	სხ.	სოფლის საკრებულო
წსჩ.	წველსაქანი	მე	მყარი
თიხ.	თიხა	კრამ.	კრამიტის ქარხანა
სჭ.	სათორენტაციო ჭა	სკ.	სკოლა
ყა.ხ.	ყაზარმა	ქე.	ქვიშის კარიერი
ღ.	ღამი	მდ. ნახ.	ქვანაშორის მდარო

ქარის წისქვილი

ტორფის მოპოვება